ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში დიდი ბრიტანეთის თავმჯდომარეობის პრიორიტეტები

სტრასბურგი, 10.11.11 – ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი თავმჯდომარედ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში დიდი ბრიტანეთი იქნება (2011წლის 7 ნოემბრიდან – 2012 წლის 14 მაისამდე).

როგორც ორგანიზაციის დამფუძნებელი ქვეყანა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი ხელმომწერი სახელმწიფო, დიდი ბრიტანეთი იბარებს თავმჯდომარის მოვალეობებს, რომელიც უკანასკნელად მას 1993 წელს ჩაბარდა. დიდი ბრიტანეთი აღნიშნულს განიხილავს როგორც შესაძლებლობას, ითამაშოს წამყვანი როლი ევროპის საბჭოს საქმიანობაში, რომელიც მიმართულია მთელი კონტინენტის მასშტაბით ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის წახალისებისკენ.

თავმჯდომარეობის საერთო თემა მოიცავს ადამიანის უფლებათა წახალისებასა და დაცვას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პრაქტიკული ზომების განვითარებას შემდეგი მიმართულებებით:

• ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეფორმირება და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცხოვრებაში გატარება;
• გენერალურ მდივან თორბიორნ იაგლანდის მიერ წამოწყებული ორგანიზაციის რეფორმირების პროგრამის მხარდაჭერა;
• კანონის უზენაესობის გაძლიერება;
• ინტერნეტ-მმართველობა და გამოხატვის თავისუფლება ინტერნეტში;
• ბრძოლა დისკრიმინაციასთან სქესობრივი ორიენტაციის თვალსაზრისით და სქესის მიხედვით;
• ევროპის საბჭოს საქმიანობის მიმართვა ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის დასახმარებლად.

ამასთანავე, ბრიტანეთი თავისთავად იმუშავებს ევროპის საბჭოს სხვა პრიორიტეტული სფეროების გასავითარებლადაც.

დაგეგმილ ღონისძიებათა კალენდარი

2011 წ. 17-19 ნოემბერი: საექსპერტო კონფერენცია - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ხედვა 2020 წელს (ღონისძიება ჩატარდება უილტონპარკში);

2012 წ. მარტი: წევრი ქვეყნებისა და ვენეციის კომისიის შეხვედრა კანონის უზენაესობის თემაზე. საგარეო საქმეთა სამინისტრო, ლონდონი;

2012 წ. აპრილი: მინისტრთა შეხვედრა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეფორმაზე;

2012 წ. 14 მაისი: მინისტრთა კომიტეტის შეხვედრა – თავმჯდომარეობის გადაბარება ალბანეთისთვის, სტრასბურგი.